თურქეთის როლი ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში

ლიკა ხუციბერიძე[1]

25 მარტს თურქეთში ოპოზიციონერი მერის, ექრემ იმამოღლუსა და სხვა, ასზე მეტი, ოპოზიციონერის დაკავებამ, რასაც საპროტესტო აქციები და აქციის ასობით მონაწილის დაკავებაც მოჰყვა, ქვეყნაში დემოკრატიის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. აღნიშნული იმ მიზეზების გამოხატულებაა, რომელთა გამოც, თურქეთის ევროკავშირთან დაახლოება, ამდენი წლის განმავლობაში, ვერ ხერხდება. თუმცა, მიუხედავად შიდა პოლიტიკური არასტაბილურობისა და დემოკრატიული პროცესების უკუსვლისა, თურქეთს აქვს ამბიცია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე და ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთ ლიდერად პოზიციონირდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, დისკუსიები დაიწყო არა მხოლოდ უკრაინაში ომის დასრულების შესახებ, არამედ ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის თაობაზე, რაშიც აქტიურად ჩაერთო NATO-ს წევრი ქვეყანა - თურქეთი, რომელიც არმიის (ცოცხალი ძალით) სიდიდით, წევრ ქვეყნებს შორის, მეორე ადგილზეა. ტრამპის ინაუგურაციიდან რამდენიმე კვირაში, ევროპამ მკაფიო გზავნილები[2] მიიღო იმის შესახებ, რომ ამერიკა კონტინენტის თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ამცირებდა, შედეგად კი, ევროპის არსებული პოლიტიკა საფუძვლიან გადახედვას საჭიროებდა. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა 4 მარტს განაცხადა[3], რომ ევროპას, რომელიც კრიტიკულ და საშიშ პერიოდში იმყოფებოდა, საკუთარ უსაფრთხოებაზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა აეღო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი წარადგინა ReArm Europe-ის (ევროპის გადაიარაღება) გეგმა, რომელიც მოიცავს:

1. ეროვნული თავდაცვის ხარჯების ზრდის შესაძლებლობას საბიუჯეტო წესების შემსუბუქებით;

---

[1] Gnomon Wise-ის უმცროსი მკვლევარი. E-mail: l.khutsiberidze@ug.edu.ge

[2] The American Presidency Project (February 14, 2025). *Remarks by the Vice President at the Munich Security Conference.* Via link https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-the-vice-president-the-munich-security-conference-0
Guardian (March 7, 2025). *Trump casts doubt on willingness to defend Nato allies 'if they don't pay'.* Via link https://www.theguardian.com/us-news/2025/mar/07/donald-trump-nato-alliance-us-security-support
Guardian (March 4, 2025). *US suspends all military aid to Ukraine in wake of Trump-Zelenskyy row.* Via link https://www.theguardian.com/world/2025/mar/04/us-military-aid-ukraine-pause-trump-zelenskyy-updates

[3] European Commission (March 4, 2025). *Press statement by President von der Leyen on the defence package.* Via link https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_25_673

2. 150 მილიარდი ევროს მოცულობის ევროკავშირის სესხების გამოყოფას საერთო თავდაცვის ინვესტიციებისთვის;

3. ევროკავშირის ბიუჯეტის გამოყენებას თავდაცვის ხარჯების გაზრდისთვის;

4. კერძო კაპიტალის მობილიზებას ფინანსური მექანიზმებით;

5. ევროპის საინვესტიციო ბანკის ჩართულობას თავდაცვის პროექტების დაფინანსებაში.

ფონ დერ ლაიენის გეგმის თანახმად, რომელზეც ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო შეთანხმდა[4], დაახლოებით 800 მილიარდი ევროს მობილიზება უნდა იყოს შესაძლებელი. აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, კომისიის პრეზიდენტი უსაფრთხოებასა და თავდაცვაში ევროკავშირის როლის წინ წამოწევაზე უფრო ფოკუსირდა, თუმცა უყურადღებოდ არც NATO-ს წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა დაუტოვებია.[5] ამჟამად ევროკავშირს არ გააჩნია საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ დამოუკიდებელი ევროპული თავდაცვის სისტემა შექმნას, განსაკუთრებით, ბრძოლისუნარიანი ფიზიკური ძალის დეფიციტს განიცდის.[6] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების ჩართულობა. შესაძლოა, ამ სახელმწიფოებს შორის, საინტერესო როლი თურქეთმა შეასრულოს.

თურქეთის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით

თურქეთი, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან და იქ სრულმასშტაბიანი ომის წამოწყებიდან დღემდე, მკაფიოდ უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და აქტიურ როლს ასრულებს უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ომის საწყის ეტაპზე თურქეთის მთავრობასთან დაკავშირებული კომპანიის „ბაიქარის“ მიერ უკრაინისთვის ბაირაქტარის დრონების გადაცემა, რამაც მნიშვნელოვანი

[4] Le Monde (March 7, 2025). *Europe decides to take its security into its own hands, without breaking with US.* Via link https://www.lemonde.fr/en/international/article/2025/03/07/europe-decides-to-take-its-security-into-its-own-hands-without-breaking-with-us_6738910_4.html

[5] European Commission (March 4, 2025). *Press statement by President von der Leyen on the defence package.* Via link https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_25_673

[6] Aurélie Pugnet and Darius Kölsch (March 21, 2025). *Europe's new military paradigm – going solo without US backup.* Via link https://www.euractiv.com/section/defence/news/europes-new-military-paradigm-going-solo-without-us-backup/

Alexandr Burilkov and Guntram B. Wolff (February 21, 2025). *Defending Europe without the US: first estimates of what is needed.* Via link https://news.sky.com/story/can-europe-save-ukraine-michael-clarke-explains-how-13320875

როლი შეასრულა რუსული აგრესიის მოგერიებაში.[7] მას ამოქმედებული აქვს 1936 წლის მონტროს კონვენციის მუხლი, რომელიც რუსულ გემებს თურქეთის სრუტეებში მიმოსვლას უზღუდავს. მიუხედავად ამისა, თურქეთს რუსეთთან ახლო ურთიერთობა არ შეუწყვეტია. განსაკუთრებით მყარია მათი ეკონომიკური კავშირები. თურქეთი გაზის მარაგის 40%-სა და ნედლი ნავთობის 70%-ს რუსეთიდან იღებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ომის დაწყებიდან დღემდე, თურქეთის ცა ღიაა რუსეთისთვის და ის არ შეერთებია რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. მეტიც, თურქეთს რუსეთის სანქციების დარღვევის ჰაბადაც მოიხსენიებენ.[8]

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლოდროინდელი მოვლენები, რომელთა ფონზეც თურქეთი რეგიონში[9] თავის როლს კიდევ უფრო აქტიურად ხედავს. 2025 წლის 14-16 თებერვალს, მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაკან ფიდანმა ევროპის ქვეყნების ლიდერებთან არაერთი ორმხრივი შეხვედრა გამართა. მათ შორის იყვნენ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი და უკრაინის თავდაცვის მინისტრი. შეხვედრის დეტალები საჯარო არ გამხდარა,[10] თუმცა თურქეთის მიერ მოგვიანებით გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, თუ რა ტიპის ჩართულობას შეიძლება ველოდოთ თურქეთის მხრიდან უკრაინისა და ზოგადად, ევროპის უსაფრთხოების საკითხებში. ჰაკან ფიდანმა მიუნხენის კონფერენციის დროს მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ევროპელები ახალი საფრთხეების წინაშე არიან და როდესაც ახალი სტრატეგიებისა და პოლიტიკის განვითარებაზე ფიქრობენ, თურქეთს სანდო და ძლიერ პარტნიორად განიხილავენ. მინისტრის თქმით, ამის მიზეზი ერდოღანის პოლიტიკაა, რომლის წყალობითაც ერდოღანმა ევროკავშირის მილიარდიანი დახმარებების გარეშე, შეძლო თავად მოეგვარებინა ინფრასტრუქტურული პრობლემები, გაეძლიერებინა თავდაცვისა და ვაჭრობის ინდუსტრიები და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს წარმატებით გამკლავებოდა არა მხოლოდ როგორც ლიდერი, არამედ, როგორც სანდო მოკავშირე. ჰაკან ფიდანმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპელმა მეგობრებმა თურქეთის მნიშვნელობა ხელახლა აღმოაჩინეს. რაც შეეხება უშუალოდ უკრაინის საკითხს, მინისტრმა აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს, რათა ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებების წარმართვას

[7] Euractiv (June 28, 2022). *Erdogan family firm gifts Bayraktar drones to Ukraine.* Via link https://www.euractiv.com/section/global-europe/news/erdogan-family-firm-gifts-bayraktar-drones-to-ukraine/

[8] James Marshall (October 5, 2023). *Turkey – a hub for Russia sanctions violations*? Turkey – a hub for Russia sanctions violations? Via link https://www.petersandpeters.com/2023/10/05/turkey-a-hub-for-russa-sanctions-violations/

[9] ტექსტში „რეგიონით“ აღნიშნულია ევროპის რეგიონი

[10] TRTWORLD (March 16, 2025). *Türkiye's Fidan meets top Ukrainian officials at Munich Security Conference.* Via link https://www.trtworld.com/turkiye/turkiyes-fidan-meets-top-ukrainian-officials-at-munich-security-conference-18265535

შეუწყოს ხელი და მონაწილეობა მიიღოს ისეთ არსებით პროცესებში, როგორებიცაა პატიმართა გაცვლა და მარცვლეულის შეთანხმება.

მიუნხენის კონფერენციიდან ორ დღეში, მაშინ, როცა ერ-რიადში უკრაინის საკითხზე აშშ-ისა და რუსეთის დელეგაციების შეხვედრა გაიმართა, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანს, ეწვია, რაც, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს თურქეთის სურვილს, აქტიურად იყოს ჩართული მოლაპარაკებების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, უკრაინის მზაობას, თურქეთს ჰქონდეს როლი ამ პროცესში. შეხვედრაზე თურქეთმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და ომის სწრაფად დასრულების აუცილებლობას. ერდოღანის თანახმად, თურქეთი რუსეთს, უკრაინასა და აშშ-ს შორის სავარაუდო მოლაპარაკებებისთვის „იდეალური მასპინძელი“ და მედიატორი იქნება.[11] ასევე, შეხვედრის დროს, თურქეთის მხრიდან, აქცენტი გაკეთდა შავ ზღვაში შეუზღუდავი ვაჭრობის მნიშვნელობაზე, რაც მხარეებს შორის სამომავლო ურთიერთობას გააუმჯობესებს.[12] თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ასვე ხაზი გაუსვა ქვეყნის მზაობას, აუცილებლობის შემთხვევაში, უკრაინაში, სამშვიდობო მისიით, თავისი შეიარაღებული ძალებიც განათავსოს.[13] აღნიშნული საკითხი განიხილეს პარიზში, ევროპის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, რომელსაც თურქეთის წარმომადგენელიც ესწრებოდა.[14]

საინტერესოა ისიც, რომ თურქეთის იმიჯი საერთაშორისო არენაზე მზარდია. მაგალითად, მიუნხენის კონფერენციამდე გამოქვეყნებული ანგარიშის[15] თანახმად, თურქეთს უფრო და უფრო მეტი ნდობა აქვს დასავლურ საზოგადოებაში. განსაკუთრებით პოზიტიური დამოკიდებულება შეინიშნება ინგლისში - თუ 2023 წელს საზოგადოების 38% განიხილავდა თურქეთს მოკავშირედ, აღნიშნული რიცხვი 2024 წელს 47%-მდე გაიზარდა. პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთშიც.[16] თურქეთი რომ რეგიონში ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ განიხილება, ეს მოსაზრება გამყარდა 2 მარტს,

[11] Euronews (March 18, 2025). *Erdogan and Zelenskyy meeting: 'This war must end now'.* Via link https://tr.euronews.com/2025/02/18/ukrayna-cumhurbaskani-zelenskiy-turkiyede-erdogan-ile-gida-guvenligi-ve-esir-takasini-goru

[12] OSW (February 24, 2025). *Turkey's stance on US negotiations with Russia: no discussions on Ukraine without us.* Via link https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2025-02-24/turkeys-stance-us-negotiations-russia-no-discussions-ukraine-without

[13] France 24 (March 7, 2025). *Faced with Russia, EU's defence must include Turkey.* Via link https://www.france24.com/en/live-news/20250307-faced-with-russia-eu-s-defence-must-include-turkey

[14] Reuters (March 13, 2025). *Turkey could be a vital partner as Europe, Ukraine seek new security framework.* Via link https://www.reuters.com/world/europe/turkey-could-be-vital-partner-europe-ukraine-seek-new-security-framework-2025-03-13/

[15] https://securityconference.org/publikationen/munich-security-report-2025/executive-summary/

[16] BBC (February 11, 2025). *Münih Güvenlik Konferansı: 'Batı'nın Türkiye'ye bakışı olumlu yönde değişiyor'.* Via link https://www.bbc.com/turkce/articles/cpvmw3gz0n2o

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, კირ სტრამერის, მიერ უკრაინის საკითხზე გამართულ საერთაშორისო ლიდერთა სამიტზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიწვევითაც.[17]

ანკარის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით, მიუთითებს მისი დაბალანსების პოლიტიკაზე და სურვილზე, ორივე მხარესთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნებით, გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონულ და გლობალურ ასპარეზზე.

თურქეთის მოთხოვნები, ევროპისთვის უსაფრთხოების მიწოდების სანაცვლოდ

რაც შეეხება ევროპის გრძელვადიანი უსაფრთხოების სტრატეგიას, თურქეთის შეფასებით, ტრამპის ბოლოდროინდელი ქმედებები ევროპისთვის გამოსაფხიზლებელი უნდა იყოს,[18] ევროპის უსაფრთხოების საკითხი კი მხოლოდ უკრაინაში ომამდე არ უნდა დაიყვანებოდეს. ახალი არქიტექტურა გრძელვადიან პერიოდში, სტრატეგიული პერსპექტივებით უნდა იყოს განხილული, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ თურქეთის ჩართულობით.[19] მეტიც, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ NATO-ს დაშლის შემთხვევაში, თურქეთს სურს, ევროპული უსაფრთხოების ნებისმიერი არქიტექტურის მონაწილე იყოს. მინისტრი ფიქრობს, რომ მაშინაც კი, თუ პრეზიდენტი ტრამპი ამჯერად ევროპიდან გასვლას შეაჩერებს, მომავალში, შესაძლებელია, ევროპული უსაფრთხოებისთვის ამერიკის მიერ გაწეული დახმარება კვლავ ეჭვქვეშ დადგეს. [20]

საყურადღებოა, რომ, ევროპის უსაფრთხოების საკითხის წამოწევისას, თურქეთმა ბოლო დროს დღის წესრიგში კვლავ აქტიურად დააყენა ევროკავშირის წევრობის საკითხი. ერდოღანმა ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (European Political Community) მეხუთე სამიტზე, ტრაპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მეორე დღეს, განაცხადა, რომ თურქეთის, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონტინენტის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში, ევროკავშირში გაწევრების დაბლოკვის გონივრული გამართლება არ არსებობს. მისი თქმით, ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში,

[17] UK Government (March 1, 2025). *Prime Minister Keir Starmer to host leaders summit on Ukraine.* Via link https://www.gov.uk/government/news/prime-minister-keir-starmer-to-host-leaders-summit-on-ukraine

[18] AA (March 6, 2025). *Turkish foreign minister slams Israel, saying its strategy toward neighbors is 'untenable'.* Via link https://www.aa.com.tr/en/middle-east/turkish-foreign-minister-slams-israel-saying-its-strategy-toward-neighbors-is-untenable-/3501863

[19] AA (March 6, 2025). *Türkiye's participation key for Europe's security architecture: Foreign minister.* Via link https://www.aa.com.tr/en/europe/turkiyes-participation-key-for-europes-security-architecture-foreign-minister/3502081

[20] AA (March 6, 2025). *Turkish foreign minister slams Israel, saying its strategy toward neighbors is 'untenable'.* Via link https://www.aa.com.tr/en/middle-east/turkish-foreign-minister-slams-israel-saying-its-strategy-toward-neighbors-is-untenable-/3501863

წევრობის პერსპექტივის გაუმჯობესება როგორც ევროპის, ისე მეზობელი რეგიონების ინტერესში უნდა იყოს.[21] ამ განცხადების შემდეგ თურქეთის პირველი პირები უფრო ხშირად საუბრობენ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილსა და მნიშვნელობაზე.

ერდოღანი თვლის, რომ ევროპა, თურქეთის გარეშე, გლობალურ აქტორად პოზიციონირებასა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ვერ შეძლებს. შესაბამისად, ამ პროცესში თურქეთის აქტიური ჩართულობა აუცილებელია. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ევროკავშირში წევრობას ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტად თვლის და იმედოვნებს, რომ ევროპელი მეგობრები, რეალური პერსპექტივების მისაცემად, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამენ.[22] ერდოღანის პოზიციით, მხოლოდ თურქეთს და მის ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას შეუძლია გამოიყვანოს ევროკავშირი როგორც ეკონომიკური, ისე თავდაცვისა და საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული ჩიხიდან.[23] პრეზიდენტი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თურქეთს არ აქვს შესაძლებლობა, ჩართული იყოს იმ პროგრამებში, რომლებიც თავდაცვისა და უკრაინის რეკონსტრუქციისკენაა მიმართული, მათ შორისაა ევროპის მშვიდობის ფონდი (European Peace Facility).[24] ამრიგად, თურქეთის სურვილია, ევროპამ მისი სტრატეგიული მნიშვნელობა აღიაროს. ანკარა ევროპული უსაფრთხოების მომავალს არა მხოლოდ უკრაინის ომის ჭრილში განიხილავს, არამედ მას აღიქვამს სტრატეგულ და გრძელვადიან პროცესად, რომელშიც თურქეთის, როგორც გადაწყვეტილების მიმღები თანასწორუფლებიანი მხარის, ჩართულობას აუცილებლობად მიიჩნევს.

რამდენად რეალისტურია თურქეთის მოთხოვნები და რა შეიძლება შესთავაზოს ევროკავშირმა

ევროკავშირში წევრობის მოთხოვნა მანამდე ერდოღანმა შვედეთის NATO-ში გაწევრიანებაზე თავისი თანხმობის სანაცვლოდ წამოაყენა. ამ საკითხზე ევროკავშირის ინსტიტუტებში სხვადასხვა პოზიცია იყო. ევროპული საბჭოს მაშინდელმა პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ერდოღანს პირობა მისცა, რომ ევროკავშირში თურქეთის წევრობის პროცესს კვლავ

[21] Presidency of the Republic of Türkiye (November 7, 2024). *"There is no reasonable justification for blocking Türkiye's EU accession".* Via link https://www.iletisim.gov.tr/english/haberler/detay/there-is-no-reasonable-justification-for-blocking-turkiyes-eu-accession

[22] Presidency of the Republic of Türkiye (March 3, 2025). *"It is high time for global decision-making mechanisms to adapt to the changing dynamics of the world".* Via link https://www.iletisim.gov.tr/english/haberler/detay/it-is-high-time-for-global-decision-making-mechanisms-to-adapt-to-the-changing-dynamics-of-the-world

[23] AA (February 24, 2025). *Only Türkiye, its EU membership can save Europe from its deadlock on economy, defense: President Erdogan.* Via link https://www.aa.com.tr/en/turkiye/only-turkiye-its-eu-membership-can-save-europe-from-its-deadlock-on-economy-defense-president-erdogan/3492152

[24] A2 (March 7, 2025*). "Joint security planning", Erdogan calls for the return of negotiations for Turkey's EU membership.* Via link https://a2news.com/rajoni-bota/bota/planifikim-i-perbashket-i-sigurise-erdogan-kerkon-rikthimin-e-n-i1142221

გააქტიურებდა (re-energise).[25] მიშელისგან განსხვავებით, ევროკომისიის პრესსპიკერის მოადგილე დანა სპინანტმა შვედეთის NATO-ში და თურქეთის ევროკავშირში გაწევრება მკვეთრად გამიჯნა და მათ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროცესი უწოდა, რამაც თურქეთის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი არსებულ ეტაპზე დატოვა.[26] მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი ევროკავშირში წევრობის საკითხს სავაჭრო თემად იყენებს, ხშირად საკმაოდ წარმატებულადაც. 2022 წელს, NATO-ს გაფართოების საკითხზე მოლაპარაკების დროს, თურქეთმა, სხვა სარგებლებთან ერთად, შვედეთისა და ფინეთისაგან მიიღო პირობა, რომ მხარს დაუჭერდნენ თურქეთის რაც შეიძლება ფართო ჩართულობას ევროკავშირის თავდაცვის ფარგლებში მიმდინარე და მომავალ ინიციატივებში, განსაკუთრებით, თურქეთის მონაწილეობას პერმანენტული სტრუქტურული თანამშრომლობის (PESCO) სამხედრო მობილობის შესახებ.[27] თუმცა PESCO-ში თურქეთის ჩართულობას ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები ეწინააღმდეგებიან, განსაკუთრებით, ავსტრია, რომლის თანახმადაც, თურქეთი არ აკმაყოფილებს PESCO-ში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მიღების კრიტერიუმებს; ის არ იზიარებს ევროკავშირის დემოკრატიულ ღირებულებებსა და მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.[28]

ამჯერად, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოების უმეტესობის მხრიდან, თურქეთის ევროკავშირში წევრობაზე პოზიციების ცვლილება არ შეინიშნება. თუმცა აღსანიშნავია პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკსა და ერდოღანს შორის 12 მარტს ანკარაში გამართული შეხვედრა, რომელზეც ერდოღანმა კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ ევროკავშირის წევრობა კვლავ თურქეთის სტრატეგიულ მიზნად რჩება და მისი დამატებით ბლოკი ახალ ძალასა და მნიშვნელობას შეიძენს. ტუსკმა საპასუხოდ განაცხადა, რომ პოლონეთი მზადაა, თავდაცვის სფეროში, მათ შორის, თავდაცვის ინდუსტრიაში თურქეთთან ითანამშრომლოს; თუმცა რეალური ნაბიჯები, თუ როგორ შეიძლება თურქეთის ჩართვა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკაში, წარმოდგენილი არ ყოფილა. ტუსკმა ასევე მზადყოფნა გამოხატა, იმუშაოს იმისთვის, რომ „თურქეთის ევროპული პერსპექტივა უფრო

[25] Euractiv (July 11, 2023). *Michel 're-energises' Turkey's EU future, contradicts Commission.* Via link https://www.euractiv.com/section/politics/news/michel-re-energises-turkeys-eu-future-contradicts-commission/

[26] Politico (July 10, 2023). *Erdoğan: Let Turkey into EU if you want Sweden to join NATO.* Via link https://www.politico.eu/article/erdogan-turkey-into-eu-sweden-join-nato/?utm_source=chatgpt.com

[27] Euractiv (June 28, 2025). *Turkey drops resistance to Sweden and Finland joining NATO.* Via link https://www.euractiv.com/section/defence-and-security/news/turkey-drops-resistance-to-sweden-and-finland-joining-nato/

[28] Euractiv (July 27, 2021). *Austria opposes Turkey's bid to join EU military project.* Via link https://www.euractiv.com/section/politics/short_news/austria-opposes-turkeys-bid-to-join-eu-military-project/

სიცოცხლისუნარიანი გახდეს და ევროპელი პარტნიორებისგან სერიოზულად იქნას აღქმული.“[29]

ადრინდელი თუ ამჟამინდელი პირობების მიუხედავად, ამ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოა, რომ თურქეთის ევროკავშირში წევრობის საკითხი დღის წესრიგში რეალური პერსპექტივით დადგება. ევროკომისიის 2024 წლის ანგარიშის თანახმად, ევროკავშირში თურქეთის გაწევრების პროცესი შეჩერებულია ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლით და ფუნდამენტური საკითხების გადაუჭრელობის გამო. ანგარიში ხაზს უსვამს რამდენიმე კრიტიკულ სფეროს, რომლებშიც თურქეთმა პროგრესი საერთოდ ვერ აჩვენა, ან მომზადების ადრეულ ეტაპზეა, განსაკუთრებით, კანონის უზენაესობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მხრივ. ევროკავშირის შეფასებით, პრობლემურია სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ერთმანეთის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი; საპრეზიდენტო სისტემის პირობებში, შესუსტებულია საპარლამენტო ზედამხედველობა; არ არის გატარებული შესაბამისი რეფორმები საჯარო ადმინისტრაციაში; სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს შეზღუდულ პირობებში, ზეწოლის ქვეშ. ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ თურქეთმა უარი თქვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარკვეული გადაწყვეტილებების შესრულებაზე და გრძელდება ჟურნალისტების, მწერლების, იურისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების სამართლებრივი დევნა, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, თურქეთის ეკონომიკა შორსაა ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური კრიტერიუმებისაგან, როგორებიცაა ფუნქციური საბაზრო ეკონომიკა და ქვეყნის უნარი, გაუმკლავდეს ევროკავშირში არსებული კონკურენციისა და საბაზრო ძალების ზეწოლას. მაღალი ინფლაცია, შრომის ბაზრის სტრუქტურული გამოწვევები და ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი ნაწილია იმ ეკონომიკური შეუთავსებლობის ჩამონათვალისა, რომელსაც ევროკავშირი ასახელებს.

საკითხს ასევე აფერხებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან - საბერძნეთთან და კვიპროსთან - არსებული უთანხმოება და ტერიტორიული დავა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. განსაკუთრებით პრობლემურია მისი პოზიცია კვიპროსისადმი, რომელსაც სახელმწიფოდ არ აღიარებს (თურქეთი მხოლოდ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას ცნობს). ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო თურქეთის წევრობისადმი წინააღმდეგობას განსხვავებული კულტურული და გეოპოლიტიკური

[29] Politico (March 12, 2025). *Poland's Tusk wants Turkey to take a leading role in ending Ukraine war.* Via link https://www.politico.eu/article/poland-donald-tusk-turkey-ending-war-ukraine-russia-europe/

მიზეზებით ხსნის, რომელიც, ასევე, სამომავლოდ მაღალი მიგრაციის ნაკადებთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობა იძლევა საშუალებას, თურქეთი ჩართული იყოს ევროპის უსაფრთხოებაში გაერთიანების სრული წევრობის გარეშეც.

ევროკავშირის პროგრამებიდან, რომელში ჩართვაც თურქეთს სურს და ამავდროულად, შეუძლია, შედარებით რეალისტურია ევროპის მშვიდობის ფონდი. ფონდის მიზანია გააუმჯობესოს ევროკავშირის შესაძლებლობები, თავიდან აირიდოს კონფლიქტები, დაამყაროს და დაიცვას მშვიდობა და გააძლიეროს საერთაშორისო უსაფრთხოება და სტაბილურობა. 2022-2024 წლებში ფონდის ფარგლებში, ევროკავშირმა უკრაინის სამხედრო და თავდაცვის საჭიროებებისთვის 6 მილიარდ ევრომდე მეტის მობილიზება შეძლო. 2024 წლის მაისში კი უკრაინის დახმარების ფონდის დამატებით, საერთო ბიუჯეტი 11 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.[30] ევროპის მშვიდობის ფონდი ევროკავშირის ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, შესაბამისად, მასში წვლილის შეტანა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანასაც შეუძლია. მაგალითად, ნორვეგია ფონდის ყველაზე დიდი არაწევრი კონტრიბუტორია.[31] თურქეთი რომ ევროპის მშვიდობის ფონდის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იქნებოდა, მოწმობს თურქეთის მიერ უკრაინისადმი გაწეული დახმარება, ომის დაწყების პირველივე დღიდან. თურქეთს, 2022 წლის აპრილისთვის, უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული 67 გადამზიდი ჰყავდა გაგზავნილი.[32] წლის ბოლოს ერდოღანი ზელენსკის დაჰპირდა, რომ, მძიმე ზამთრის გადასატანად, თურქეთი უკრაინას დამატებით ჰუმანიტარულ დახმარებას გაუგზავნიდა.[33] Kiel Institute for the World Economy-ის მონაცემთა ბაზის თანახმად, 2022 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, თურქეთმა უკრაინას 70 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა.[34] აღსანიშნავია ისიც, რომ Bayraktar TB2-ის დრონები, რომლებმაც ომის საწყის ეტაპზე უკრაინისთვის განსაკუთრებული როლი შეასრულა, პირველად თურქეთმა მას 2019 წელს მიაწოდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს

[30] European Council. *European Peace Facility.* Via link https://www.consilium.europa.eu/en/policies/european-peace-facility/

[31] European Councill (July 25, 2023). *Norway: second Norwegian financial contribution to the European Peace Facility.* Via link https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2023/07/25/norway-second-norwegian-financial-contribution-to-the-european-peace-facility/?utm_source=chatgpt.com

[32] Daily Sabah (April 13, 2022). *Turkey sent 67 trucks of aid to Ukraine since war started: AFAD.* Via link https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-sent-67-trucks-of-aid-to-ukraine-since-war-started-afad?utm_source=chatgpt.com

[33] Hürriyet Daily News (December 12, 2022). *Türkiye continues to provide humanitarian aid to Ukraine, Erdoğan tells Zelensky.* Via link https://www.hurriyetdailynews.com/turkiye-continues-to-provide-humanitarian-aid-to-ukraine-erdogan-tells-zelensky-179271?utm_source=chatgpt.com

[34] Kiel Institute for the World Economy. *Ukraine Support Tracker.* Via link https://www.ifw-kiel.de/topics/war-against-ukraine/ukraine-support-tracker/?utm_

თურქეთის მზაობას, ხელი შეუწყოს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.[35]

როგორც უკვე აღინიშნა, თურქეთმა ასევე გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს PESCO-ს სამხედრო მობილობის პროგრამაში. სამხედრო მობილობის პროგრამა ორიენტირებულია შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების სწრაფი გადაადგილების გაუმჯობესებაზე ევროპის მასშტაბით, რაც სასაზღვრო პროცედურების გამარტივებითა და ინფრასტრუქტურის განახლებით იქნება შესაძლებელი.[36] თურქეთმა სამხედრო მობილობის პროგრამაში ჩართვის განაცხადი 2021 წელს შეიტანა. მაშინ თურქეთის დიპლომატიური წყაროები აცხადებდნენ, რომ PESCO-ში თურქეთის ჩართულობა თურქეთს, კვიპროსსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებასა და ევროკავშირსა და NATO-ს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. 2021 წელსვე დაადასტურა პირველად ევროკავშირმა პროგრამაში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების - აშშ-ის, ნორვეგიისა და კანადის - წევრობა. თუმცა მაშინ ეს ნაბიჯი ფორმალობად იყო შეფასებული, რადგან აღნიშნული ქვეყნები, NATO-ს ფარგლებში, ევროპის ტერიტორიაზე სამხედრო მობილობაში უკვე ისედაც აქტიურად იყვნენ ჩართული.[37] მიუხედავად ევროკავშირის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობისა, ევროკავშირის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირს შეუძლია იმუშაოს აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევასა და თურქეთის ჩართვაზე PESCO-ს სამხედრო მობილობის პროგრამაში, რადგან აშშ-ის, კანადისა და ნორვეგიის მსგავსად, ევროკავშირის ტერიტორიაზე, NATO-ს ფარგლებში, სამხედროები უკვე განთავსებული ჰყავს თურქეთსაც. PESCO-ში მონაწილეობა თურქეთს, პირველ რიგში, რეგიონში გავლენის მოპოვებაში შეუწყობს ხელს. საშუალება ექნება, ჩართული იყოს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიების შემუშავებაში, რაც, ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურის ამგვარი მოწყობით, შეზღუდული აქვს. PESCO-ში მონაწილეობით თურქეთი ასევე გააძლიერებს თავდაცვის ინდუსტრიას - ექნება პოტენციალი, ისარგებლოს ევროკავშირის თავდაცვის ფონდებით, კვლევითი პროგრამებითა და თავდაცვის ინდუსტრიაში საერთო შესყიდვებით.

თურქეთის მაღალტექნოლოგიური თავდაცვის ინდუსტრია მზადაა, ევროპის უსაფრთხოებაში თავისი როლი ითამაშოს. ქვეყანა ამჟამად აწარმოებს სამხედრო

[35] Business Inside (February 28, 2022). *Ukraine credits Turkish drones with eviscerating Russian tanks and armor in their first use in a major conflict.* Via link https://www.businessinsider.com/ukraine-hypes-bayraktar-drone-as-videos-show-destroyed-russia-tanks-2022-2

[36] European Council. *Military Mobility.* Via link https://www.pesco.europa.eu/project/military-mobility/

[37] Euractiv (May 17, 2021). *Turkey's participation request in EU military project apprehended as 'Trojan horse'.* Via link https://www.euractiv.com/section/defence-and-security/news/turkeys-participation-request-in-eu-military-project-apprehended-as-trojan-horse/

ინფრასტრუქტურას, როგორებიცაა ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები და მასალები, მათ შორის, 155 მმ-იანი საარტილერიო ჭურვები. ამასთან ერთად, თურქეთს აქვს მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები, განსაკუთრებით აღსანიშნავია დრონები, რაც ევროკავშირის თავდაცვის ინდუსტრიის დიდი მინუსია.[38] ევროკავშირმა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვისას, განსაკუთრებული ყურადღება საერთო შესყიდვებსა და ევროპული მწარმოებლების გაძლიერებაზე გაამახვილა, რაც სამხედრო აღჭურვილობის უფრო დაბალ ფასში შეძენას ისახავდა მიზნად. თუ თურქეთი და ევროკავშირი თავდაცვის ინდუსტრიაში თანამშრომლობას შეძლებენ, ეს ორივე მხარისა და მთლიანად კონტინენტის უსაფრთხოებისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამ ეტაპზე ამის წარმატებული მაგალითია თურქული დრონების კომპანია „ბაიქარის“ შეთანხმება ევროპული თავდაცვის გიგანტ კომპანია „ლეონარდოსთან“, რომელიც პროდუქციის საერთო წარმოებასა და ევროპის ბაზრის ათვისებას შეეხება.[39] ასევე თურქული თავდაცვის ბიზნესის, „რეპკონის“, შეთანხმება გერმანიასთან, მიაწოდოს 155 მმ-იანი საარტილერიო შეიარაღება[40].

თურქეთის მხარე აქტიურად განიხილავს ევროკავშირთან საბაჟო კავშირის მოდერნიზაციას. კავშირი ჩამოყალიბდა 1963 წლის ანკარის ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც თავდაპირველად მიზნად ისახავდა თურქეთის ევროკავშირთან დაახლოებას, წევრობის პერსპექტივით. საბაჟო კავშირის ფარგლებში, თურქეთს უფლება მიეცა, საბაჟო შემოწმებისა და კვოტების გარეშე ივაჭროს ევროკავშირთან ინდუსტრიული საქონლითა და მხოლოდ დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.[41] საბაჟო კავშირი თურქეთს, ევროკავშირის ოთხი თავისუფლებიდან (ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება), მხოლოდ საქონლის თავისუფალი გადაადგილების უფლებას ანიჭებს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული პირობებით. თურქეთმა ჯერ კიდევ 2016 წელს სცადა საბაჟო კავშირის მოდერნიზება - 2016 წლის მარტში ევროკავშირსა და თურქეთს შორის, მიგრაციის ნაკადების დასარეგულირებლად, დაიდო შეთანხმება, რომლის ფარგლებში, ორივე მხარე საბაჟო კავშირის პირობების

[38] CEPA (March 10, 2025). *Turkey Has Answers for a Vulnerable Europe.* Via link https://cepa.org/article/turkey-has-answers-for-a-vulnerable-europe/

[39] Leonardo (March 6, 2024). *Leonardo and Baykar sign a partnership for unmanned technologies.* Via link https://www.leonardo.com/en/press-release-detail/-/detail/06-03-2025-leonardo-and-baykar-sign-a-partnership-for-unmanned-technologies

[40] TurDef (February 12, 2025). *Repkon to Share Defence Industry Technology with Germany.* Via link https://www.turdef.com/article/repkon-to-share-defence-industry-technology-with-germany

[41] European Commission. Turkey: Customs Unions and preferential arrangements. Via link https://taxation-customs.ec.europa.eu/turkey-customs-unions-and-preferential-arrangements_en

გაუმჯობესებაზე შეთანხმდა.[42] მიუხედავად ამისა, ცვლილებები შეთანხმებაში არ შესულა. თურქეთი თვლის, რომ 1990-იანი წლებიდან დღემდე, გლობალური სავაჭრო გარემო შეიცვალა, ხოლო ევროკავშირის სავაჭრო საზღვრები (მათ შორის, ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები) გაფართოვდა, რაც თურქეთს აქამდე არსებულ უპირატესობას უკარგავს. მას სურს ევროკავშირისგან იმგვარი ხელშეკრულების მიღება, რომელიც უფლებას მისცემს, ჩართული იყოს ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებების დადებაში. ასევე თურქეთი უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ის არ სარგებლობს სერვისებისა და საჯარო შესყიდვების თავისუფალი გადაადგილებით - ბიზნესმენები ევროკავშირში ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისას ვიზასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეჩეხებიან, რაც ვაჭრობისა და ინვესტიციების ნაკადებს აფერხებს.[43] თურქეთსა და ევროკავშირს შორის საბაჟო კავშირის იმგვარად შეცვლა, როგორც ამჯერად თურქეთს სურს, ნაკლებ სავარაუდოა. საბაჟო კავშირის მოდერნიზაციის პირობითობაზე მიუთითებს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის 2025 წელს გამოქვეყნებული პირველადი ანგარიში, რომელშიც საუბარია, რომ კავშირის მოდერნიზაცია დაფუძნებულია ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მდგომარეობაზე, საერთაშორისო კანონების პატივისცემასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, რომლებშიც თურქეთს საგრძნობლად გაუარესებული მაჩვენებელი აქვს.[44] იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვის ინდუსტრიების დაახლოება ორივე მხარისთვის სასარგებლოა, შესაძლებელია იმგვარი შეთანხმების მიღწევა, რომელიც თურქულ და ევროკავშირის კომპანიებს ერთმანეთის შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა სავარაუდოა, რომ ანკარა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის მხოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობით შემოფარგვლას არ დასჯერდება.

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც თურქეთი რეგიონში თავისი გავლენის გაძლიერებას ცდილობს, ენერგეტიკაა. 2024 წლის თებერვალში თურქეთის ნავთობსადენების კორპორაციასა (BOTAŞ) და თურქმენულ კომპანია „თურქმენგაზს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, თურქეთი ყოველწლიურად 2 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს მიიღებს.[45] აღნიშნული შეთანხმება წინგადადგმული ნაბიჯია თურქეთის ენერგეტიკული სფეროს დივერსიფიკაციისთვის, რამდენადაც ამ სფეროში ქვეყანა

[42] European Council (March 18, 2016). *EU-Turkey statement, 18 March 2016.* Via link https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/03/18/eu-turkey-statement/

[43] Middle East Eye (Jule 20, 2025). *EU-Turkey customs union: The time for change is now.* Via link https://www.middleeasteye.net/opinion/eu-turkey-customs-union-time-change-now

[44] European Parliament (January 1, 2025). *MOTION FOR A EUROPEAN PARLIAMENT RESOLUTION on the 2023 and 2024 Commission reports on Türkiye (2025/2023(INI)).* Via link https://www.europarl.europa.eu/doceo/document/AFET-PR-767988_EN.pdf

[45] Daily Sabah (February 12, 2025). Turkmen gas supply to strengthen Türkiye's regional hub goal: Expert. Via link https://www.dailysabah.com/politics/azerbaijan-reports-firing-from-armenia-after-peace-deal/news

მეტწილად დამოკიდებულია რუსეთთან ვაჭრობაზე.[46] თურქეთის ენერგეტიკული სტრატეგიებისა და პოლიტიკის კვლევის ცენტრის (TESPAM) დირექტორის თანახმად, თურქმენული გაზის საკითხი დღის წესრიგში დააბრუნა თურქეთის ამბიციებმა - გახდეს რეგიონში ბუნებრივი აირით ვაჭრობის ჰაბი და ევროკავშირს რუსული გაზის ალტერნატივა შესთავაზოს.[47] აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ თურქეთი ევროკავშირთან სავაჭროდ ენერგეტიკულ საკითხებსაც გამოიყენებს.

ასევე აღსანიშნავია ევროკავშირსა და თურქეთს შორის 2016 წელს მიღწეული შეთანხმება, რომელიც თურქეთიდან ევროკავშირში არალეგალი მიგრანტების ნაკადების შეჩერებას ისახავდა მიზნად.[48] აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობის სანაცვლოდ, ევროკავშირმა მაშინ თურქეთს ორ ეტაპად გამოუყო 6 მილიარდ ევრომდე ფინანსური დახმარება, ასევე გამოთქვა მზაობა საბაჟო კავშირის პირობების გაუმჯობესებისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესის აჩქარების შესახებ.[49] 2024 წლის დეკემბერში ევროკავშირმა თურქეთს, მიუხედავად ფინანსური დახმარების ხარჯვის ეფექტურობასთან დაკავშირებული კითხვებისა,[50] მიგრანტების დასახმარებლად დამატებით 1 მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსები გამოუყო. ჯამში, ევროკავშირმა თურქეთს, ქვეყანაში მყოფი სამ მილიონამდე მიგრანტისთვის, 10 მილიარდ ევრომდე მისცა, რაც სავარაუდოს ხდის იმას, რომ თურქეთი მიგრანტების დასახმარებლად გამოყოფილი თანხებით ვაჭრობას მომავალშიც გააგრძელებს. თუმცა მსგავსი ვაჭრობა ნაკლებ სავარაუდოა საბაჟო კავშირსა და ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის 2025 წელს გამოქვეყნებული პირველადი ანგარიშის თანახმად, თურქეთი საგრძნობ უკუსვლას განიცდის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, საერთაშორისო კანონების პატივისცემისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების საკითხებში. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება კი აუცილებელი პირობაა,

[46] Cargenie Europe (February 28, 2024). Understanding the Energy Drivers of Turkey's Foreign Policy. Via link https://carnegieendowment.org/research/2024/02/understanding-the-energy-drivers-of-turkeys-foreign-policy?lang=en&center=russia-eurasia

[47] Daily Sabah (February 12, 2025). Turkmen gas supply to strengthen Türkiye's regional hub goal: Expert. Via link https://www.dailysabah.com/politics/azerbaijan-reports-firing-from-armenia-after-peace-deal/news

[48] European Parliament. *EU-TURKEY STATEMENT & ACTION PLAN.* Via link https://www.europarl.europa.eu/legislative-train/theme-towards-a-new-policy-on-migration/file-eu-turkey-statement-action-plan

[49] European Parliament. *EU-TURKEY STATEMENT & ACTION PLAN.* Via link https://www.europarl.europa.eu/legislative-train/theme-towards-a-new-policy-on-migration/file-eu-turkey-statement-action-plan

[50] The Brussels Time (April 24, 2024). *'There could have been more value for money in EU's aid for refugees in Turkey', say EU auditors.* Via link https://www.brusselstimes.com/1019610/there-could-have-been-more-value-for-money-in-eus-aid-for-refugees-in-turkey-say-eu-auditors?utm_source=chatgpt.com

როგორც საბაჟო კავშირის გაუმჯობესებისთვის, ისე ვიზალიბერალიზაციის პროცესის ასაჩქარებლად.[51]

თურქეთისა და ევროკავშირის მოლაპარაკებები კვლავ რჩება ვაჭრობის სფეროდ, სადაც თურქეთი საკუთარ სტრატეგიულ მდგომარეობას ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მისაღებად იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ სრული წევრობის პერსპექტივა შორეულ მომავალშია გადაწეული. ევროკავშირმა, თავისი ამჟამინდელი თავდაცვის შესაძლებლობების გათვალისწინებით, გარკვეული წევრი ქვეყნების წინააღმდეგობის დაძლევაზე უნდა იმუშაოს, რათა მათ თურქეთი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პროგრამებში ჩართონ; ასევე მისცენ მაღალი ხარისხის თავდაცვის ინდუსტრიის ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც, ერთი მხრივ, თურქეთს თავს აგრძნობინებს არა პროცესების მაყურებლად, არამედ ევროპის პოლიტიკის მონაწილედ, მეორე მხრივ, კონტინენტის კოლექტიური თავდაცვის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს.

საქართველოს როლი თურქეთის უსაფრთხოების ინტერესებში

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ევროპასა და რუსეთთან მიმართებით დაბალანსების პოლიტიკას არჩევს, რუსეთის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს, თურქეთის გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, თურქეთის სტრატეგიული ინტერესია, შეაკავოს რეგიონში რუსეთის გაძლიერება. ამის ერთ-ერთი დასტურია უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, მონტროს კონვენციის მუხლის ამოქმედება, რამაც შავ ზღვაში რუსეთის ფლოტის გაძლიერებას ხელი შეუშალა.

გარდა ამისა, თურქეთის ინტერესებშია არა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი, არამედ თურქეთისადმი კეთილგანწყობილი სახელმწიფოების არსებობა სამხრეთ კავკასიაში. ამ მიზნისთვის, თურქეთმა საქართველოში რუსეთის ძალა უნდა დააბალანსოს, გააღრმაოს ეკონომიკური კავშირები და უზრუნველყოს უსაფრთხოების გარანტიების მიწოდება. თურქეთი, ისტორიულად, NATO-ში საქართველოს წევრობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იყო. 2020 წელს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, განაცხადა, რომ თურქეთის პოზიციის თანახმად, საქართველოს სჭირდება NATO და NATO-ს სჭირდება

[51] European Parliament (January 1, 2025). *MOTION FOR A EUROPEAN PARLIAMENT RESOLUTION on the 2023 and 2024 Commission reports on Türkiye (2025/2023(INI)).* Via link https://www.europarl.europa.eu/doceo/document/AFET-PR-767988_EN.pdf

საქართველოსნაირი მოკავშირე, ამიტომ საქართველო კავშირის წევრი უნდა გახდეს.[52] საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, თურქეთმა NATO-ში მის წევრობას კვლავ აქტიურად გაუწიოს ლობირება. ასევე, თავდაცვითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად, საჭიროა, თურქეთმა კვლავ გააგრძელოს NATO-ს სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო აღჭურვილობის გადმოცემა საქართველოსთვის. მაგალითისთვის, 2024 წელს საქართველომ თურქეთისგან NATO-ს სტანდარტების ჯავშანტრანსპორტიორები VURAN მიიღო. თურქეთის ელჩმა საქართველოში ალი ქაან ორბაიმ მაშინ განაცხადა, რომ სამხედრო ტექნიკის გადაცემა „თურქეთის მხრიდან საქართველოს უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერის დემონსტრირებაა“. ელჩმა სამხედრო და თავდაცვის სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა და „სტრატეგიულ პარტნიორს“ მოუწოდა, პრიორიტეტი თურქულ სამხედრო სამრეწველო პროდუქციას მიანიჭოს.[53]

მიუხედავად რუსეთის მიმართ დაბალანსების პოლიტიკისა, თურქეთის უსაფრთხოების ინტერესები შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში ემთხვევა ევროპის ინტერესებს, რაც უფრო მეტად უბიძგებს მას, გადადგას იმგვარი ნაბიჯები, რომლებიც ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების არქიტექტურას გააძლიერებს. მნიშვნელოვანია საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებაც და NATO-ში ქვეყნის გაწევრიანების მხარდაჭერის გაგრძელება, რაც შეასუსტებს რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაში და მის ბერკეტებს - საქართველოსთან მიმართებით.

შეჯამება

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ევროპის თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესუსტებით, ევროკავშირმა მიიღო მკაფიო გზავნილი, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების არსებული არქიტექტურა გადახედვას საჭიროებს. ევროკომისიის პრეზიდენტის მიერ წარდგენილი "ReArm Europe" გეგმა ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ევროკავშირს ამჟამად არ გააჩნია საკმარისი რესურსები, დამოუკიდებელი თავდაცვის სისტემა შექმნას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კავშირის არაწევრ ქვეყნებთან, რომელთაგანაც განსაკუთრებული ამბიციები და ინტერესი NATO-ში სიდიდით მეორე არმიის მქონე ქვეყანამ, თურქეთმა, გამოიჩინა.

[52] Civil.ge (January 23, 2020). *Turkish FM Çavuşoğlu: Georgia Should Become NATO Member.* Via link https://civil.ge/archives/335679

[53] Civil.ge (June 12, 2024). *Georgia Receives NATO-Standard Armored Personnel Carriers from Turkey.* Via link https://civil.ge/archives/612500

თურქეთი რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ, ომის დასაწყისიდანვე, დაბალანსების პოლიტიკას ირჩევს: მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს - სამხედრო შეიარაღების გაგზავნით. იმავდროულად, ინარჩუნებს ეკონომიკურ კავშირებს რუსეთთან, არ უერთდება მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს და პოზიციონირებს, როგორც პოტენციური შუამავალი უკრაინასა და რუსეთს შორის. აღნიშნული ქმედებით, თურქეთი ცდილობს, გახდეს რეგიონში მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთი მთავარი აქტორი და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში მისი ინტერესებიც გათვალისწინებული იყოს. ევროპისთვის უსაფრთხოების მიწოდების სანაცვლოდ, ანკარა ცდილობს, ევროკავშირისგან მაქსიმუმი - წევრობა - მოითხოვოს, რაც ახლო მომავალში ნაკლებ სავარაუდოა. თუმცა ის ასევე ითხოვს თავდაცვით ინიციატივებში, განსაკუთრებით, PESCO-ს სამხედრო მობილობის პროგრამაში, მონაწილეობას, საბაჟო კავშირის მოდერნიზაციასა და ევროპის მშვიდობის ფონდში ჩართულობას, რასაც ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფო ეწინააღმდეგება. უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე, ევროკავშირმა უნდა მოახერხოს წინააღმდეგობის დაძლევა და მისცეს თურქეთს შესაძლებლობა, ეტაპობრივად ჩაერთოს აღნიშნულ პროგრამებსა და ინიციატივებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება თავდაცვის ინდუსტრიებს შორის და პოტენციურად იმგვარი შეთანხმების მიღწევა, რომელიც თურქულ და ევროკავშირის კომპანიებს ერთმანეთის შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია პროდუქციის საერთო წარმოებისა და ევროპის ბაზრის ათვისების მიზნით, თურქული დრონების კომპანიის, „ბაიქარის“, შეთანხმება ევროპული თავდაცვის გიგანტ კომპანია „ლეონარდოსთან.“

თურქეთის სურვილს, გახდეს ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, განსაკუთრებით ხელს უწყობს სტრატეგიული მდებარეობა შავი ზღვის რეგიონში და მისი როლი რეგიონის უსაფრთხოებაში. შესაბამისად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რაც თანხვედრილია ევროპის უსაფრთხოების ინტერესებთან, აუცილებელია რუსეთის ძალის დაბალანსება შავ ზღვაში. აღნიშნულში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაძლიერებამ, განსაკუთრებით, სამხედრო მიმართულებით, მათ შორის, NATO-ს ფარგლებში, რაც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ბერკეტს შეასუსტებს.

მიუხედავად სტატიაში განხილული მრავალი მიზეზისა, რომელთა გამოც თურქეთი, წლებია, შორდება ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას, მისი თავდაცვისუნარიანობა და მაღალი ხარისხის სამხედრო ინდუსტრიები აუცილებელია ევროკავშირის უსაფრთხოებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული თავდაცვისუნარიანობით სარგებლობისთვის, ევროკავშირსა და

თურქეთს გარკვეული კომპრომისების შემუშავება მოუწევთ, რათა ეფექტური და ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის მექანიზმი შექმნან.